24/12/2025

MES 1 25 0001824130

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი, 10.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
დასრულების დრო: 14:03 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე
საბჭოს მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდ
დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა
Zoom-ის გამოყენებით 2025 წლის10 დეკემბერს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილ
ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭო
მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს(შემდგომში-საბჭო)წევრებ

1. **სერგო ჭელიძე** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს“ პროფესორი;
2. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
   საბჭოს მდივანი;
3. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელ
   დირექტორი;
4. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფ
   უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
5. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა დ
   სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
6. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრ
   ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკან
   პროფესორი;
7. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხი
   უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
   საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
   აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროს
   პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ალტერბრიჯი
ნათია გოცაძე - რექტორი
ირინა აღაპიშვილი - ვიცე რექტორი
სოფიკო სუპატაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
თეა მჭედლური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი
თეა ლორთქიფანიძე - სკოლის დეკანი
ანა წიკლაური - კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი
ანა კობერიძე - საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი
ნინო არჯევნიშვილი - იურისტი
ანა გვეტაძე - პროგრამის ხელძღვანელი

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ვახტანგ ლეჟავა - რექტორი
ნათია სამუშია - პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში
მარინა ქარჩავა - პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში
შაკო თავაძე - სტუდენტების დეკანი
ლილე ჩხეტიანი - იურიდიული სამსახურის უფროსი
ლილი ბეგიაშვილი - იურისტი
სოფო კიზივაძე - იურისტი
ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მარიამ მოქია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

ვებსტერის უნივერსიტეტი, ინკ.- ის ფილიალი საქართველოში
ემინ ჰაჯიევი - ვიცე-რექტორი
თამთა ცხოვრებაძე - აკადემიური კოორდინატორი
გაგა გვენეტაძე - ხარისხის მენეჯერი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებ (შემდგომში-ექსპერტები):

სოკრატის კათსიკას (Sokratis Katsikas)
თინათინ გაბრიჩიძე
ია ნაცვლიშვილი
ნინო ალავიძე
ნინო ჯოლია
ეკატერინე ფიფია

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 12:00 საათზე. საქართველოს განათლებისა დ
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ
„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტი
თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, სერგო ჭელიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინ
რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/
ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების
74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭო
წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებ
მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭო
წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. უცხოური საწარმოს ფილიალი "ვებსტერის უნივერსიტეტი ინკ." - ის ფილიალთან მიმართები
წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრი
განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. უცხოური საწარმოს ფილიალი "ვებსტერის უნივერსიტეტი ინკ." - ის ფილიალთან მიმართები
წარმოდგენილი საჩივრის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრი
განხილვა.

1. შპს უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭო
წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილებ
და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებებ
განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

საერთაშორის ექსპერტმა სოკრატის კათსიკასმა აღნიშნა, რომ ანგარიშის მიხედვი
უნივერსიტეტი აკმაყოფილებდა პირველ, მესამე და მეხუთე საკითხებს. მეტნაკლება
აკმაყოფილებდა მეორე და მეოთხე პუნქტებს და ნაწილობრივ - მეექვსესა და მეშვიდე
დეტალურად გამახვილდა შესაბამისობაზე ყურადღება, კერძოდ ბოლო ორ სტანდარტთან. რა
შეეხება მეექვსე სტანდარტს, მიუხედავად იმისა, რომ მეტნაკლებად იყო მცდელობ
დაემკვიდრებინა კვლევის არეალი გარკვეულწილად არის თანადამთხვევა და გაურკვევლობ
კერძოდ, სტანდარტი 6.1 -თან და 6.2-თან ჯერ კიდევ მთელი რიგი საქმიანობებია ჩასატარებელ
აღნიშნული საკითხი მეტწილად უკავშირდება მეოთხე სტანდარტსაც, რომელსაც უნივერსიტე
მეტწილად აკმაყოფილებს. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს ჰყავს გარკვეულ
დაქირავებული პერსონალი, რომელიც თავისი ხარისხით აკმაყოფილებს საერთაშორის
მოთხოვნების დადგენილ სტანდარტებს, ამის გათვალისწინებით დაწესებულება თანხვედრაში
სტანდარტთან. რაც შეეხება მეშვიდე სტანდარტს, რომელიც ეხება მატერიალურ და ფინანსუ
საკითხებს, უნივერსიტეტს გარკვეული პრობლემები აქვს მატერიალურ და ფინანსუ
საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი მეტწილად დამოკიდებულია სტუდენტების მიე
გადახდილ გადასახადებზე. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს საბიბლიოთეკ
საკითხებიც. იმის გათვალისწინებით, რომ ახლო მომავალში გეგმავს უნივერსიტეტ
სტუდენტების რაოდენობის გაზრდას. ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რო
უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ამ მიმართულებით მუშაობა და მოაგვაროს ეს ლაფსუსებ
რაც არსებობს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთ
პოზიცია.**

ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მოითხოვა კვოტის უკან შემცირება და წინ
ავტორიზაციის მსგავსადმ, ითხოვენ კვოტის 400 სტუდენტით განსაზღვრას. ეს არ არი
გამოწვეული იმის გამო, რომ დაწესებულებას არ აქვს რესურსი იმისთვის, რომ გაუმკლავდეს ი
კვოტას, რაც იყო მოთხოვნილი და არც იმით, რომ არასწორად იყო კონტინგენტი დაგეგმილ
უბრალოდ, როდესაც ექსპერტებმა წარმოადგინეს დასკვნაში, რომ რეგრესია სტუდენტები
მიღების ნაწილთან დაკავშირებით, ეს ასე არ არის. ეს პროგრესია, რადგან წინარე ფორმული
დაწესებულებას გათვლილი არ ჰქონდა ცვლების და გამტარიანობის საკითხი. შესაბამისად ახლ
უნივერსიტეტის რესურსი სრულად აკმაყოფილებს მოცემული სტუდენტების რაოდენობას
აქედან გამომდინარე, მეშვიდე სტანდარტის „ნაწილობრივი“ შეფასება დაწესებულებისთვის არი
სრულიად მიუღებელი, რადგან მათ გაიარეს გეგმიური მონიტორინგი და მეშვიდე სტანდარტთა
მიმართებით სრული შესაბამისობა იყო. მას შემდეგ ინფრასტრუქტურა მეტად განვითარდ
დაწესებულება აღიჭურვა ახალი ტექნიკით და ინვენტარით. ასევე, დასკვნაში ნახსენები იყო, რო
ყველა წარწერა ინგლისურად უნდა ყოფილიყო, მაგრამ უნივერსიტეტში ყველა წარწერა ასახავ
კონცეფციას, ბრენდბუქს და ამ შემთხვევაში ინგლისურენოვანი წარწერების გაკეთებ
საინტერესოა, თუმცა ეს რეკომენდაციები იყო მოულოდნელი. ალტერბრიჯის შენობა შეიქმნ
უნივერსიტეტული საქმიანობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური განაწილების ცენტრ
ეკუთვნის შენობა, არსებობს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც 10 წლის ვადით იყო და შემდე
მყისიერად განახლდა. რაც შეეხება მესამე-მეოთხე სართულებს, ხელშეკრულების მიხედვი
მოთხოვნისთანავე ცენტრი ვალდებულია 6 თვის ვადაში დაუთმოს უნივერსიტეტს ე
სართულები. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ მესამე სართული დ
ენახათ საგამოცდო ცენტრი, საპროფესორო და სხვა აუდიტორიები. ხოლო მეოთხე სართულ
ამჟამად არის გაქირავებული და დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს პრობლემას ამ ეტაპზე ა
წარმოადგენს, რადგან ეს შემოსავალი უნივერსიტეტს ხმარდება მთლიანად განვითარებისთვის
დასკვნაში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სტუდენტები, თუმ
ახალი უნივერსიტეტისთვის, თანაც 400 ქვოტით შემოსავლის საფუძველი ვერ იქნებოდ
სტუდენტი, ამიტომ ადმინისტრაციას იმთავითვე ჰქონდა განსაზღვრული, რომ ფინანსურა
უნივერსიტეტს უზრუნველყოფს ინვესტორის მიერ შემოტანილი თანხები, ასევე უზრუნველყოფ

ტრენინგ ცენტრი და ასევე სტუდენტების შემოსავლები, თუმცა ეს უკანასკნელი არასდრო
ყოფილა უპირატესი. აქამდე ყველა ღონისძიება დამფუძნებლების დაფინანსებით ხდებოდ
თუმცა ბოლო პერიოდში უნივერსიტეტი ფინანსურად მდგრადია და არ არის დამოკიდებულ
დამფუძნებლების ფინანსებზე. მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით აუცილებელია იმი
აღნიშვნა, რომ კაფეტერია 100 კვ. მ-ზეა თავისი უზარმაზარი ეზოთი. დასკვნაში საუბარი იყ
საევაკუაციო გეგმაზე, როდესაც შენობა ექსპლუატაციაში შედის სახანძრო სამსახურ
ექსპლუატაციაში არ მიიღებს შენობას თუკი ის შესაბამისი საეუაკუაციო გეგმით არ იქნებ
წარმოდგენილი, ასე რომ საევაკუაციო გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დ
გამოკრულია ყველა კედელზე. ამ სტანდარტშივე საუბარი იყო ენობრივ კომპეტენციაზე, ეხებოდ
ექიმს და ბიბლიოთეკას. ამ რეკომენდაციას ნაწილობრივ იზიარებს დაწესებულება, თუმც
ალტერბრიჯის გუნდი არის ცოცხალი ქმედითი და მჭიდროდ დაკავშირებული გუნდი, რომელი
დიდ დროს უთმობს სტუდენტებთან ურთიერთობას და მათი საჭიროებების მოგვარებას. ამიტო
ჯერ არ ყოფილა სამედიცინო თუ საბიბლიოთეკო კუთხით რაიმე პრობლემა შექმნოდეს უცხოეთ
სტუდენტს. მეექვსე სტანდარტის შეფასებისას მნიშვნელოვანია ექსპერტების მხრიდან იყო
დაფასებული და შეფასებული ის ქმედითი საქმიანობა, რასაც დაწესებულება აკეთებს იმისათვის
რომ მხარი დაეჭიროს მსგავსი ტიპის აქტივობებს. იმის გათვალისწინებით, რომ დღე
საქართველოში ძალიან რთულია პრაქტიკოსი ლექტორების პოვნა, რომლებიც აკადემიურ
საქმიანობის პარალელურად ახორციელებენ კვლევით საქმიანობას. დაწესებულებ
მაქსიმალურად ცდილობს აფილირებულ პერსონალს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ მეტაც
მოტივირებული იყოს კვლევით საქმიანობაში ჩასართავად. ამისათვის შექმნილია დაფინანსები
სისტემა მათთვის, რათა მოტივაცია შეექმნათ სხვადასხვა კვლევით პროექტებში მონაწილეობი
მიღებისა. ასევე არის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფენ შიდა საგრანტო პროცესებს. ამასთან
თავდაუზოგავად მუშაობს კვლევითი ცენტრი, რომ ალტერბრიჯი გაერთიანდეს ისეთი ტიპი
კონკურსებში, რომლებიც იძლევიან საშუალებას კვლევითი მიმართულების განვითარებისა
ახლახანს ალტერბრიჯი გაერთიანდა კონსორციუმში, რომელიც აფინანსებს Web of Science-ი
შეძენას და წვდომას, ამიტომ პერსონალს ამ მიმართულებით ექნება უწყვეტი წვდომა. ამასთა
მობილობით მალტის უნივერსიტეტში იქნება 5 ალტერბრიჯის აკადემიური პერსონალი და სამ
სტუდენტი. დაწესებულებისთვის კვლევითი საქმიანობის განვითარება არის ერთ-ერთ
მნიშვნელოვანი მიზანი. ამასთან დაკავშირებით მუდმივად ხდება ბიუჯეტის გაზრდ
უნივერსიტეტში ძალიან დიდი შრომა იდება ყველა კუთხით როგორც დამსაქმებლის მხრიდან
ისე გუნდისა და სტუდენტების მხრიდან.
ექსპერტმა ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების პროგრესი ბოლო წლების განმავლობაშ
ცალსახაა, რაც დოკუმენტაციასა და დასკვნაშიც ასახულია რიგ საკითხებთან მიმართებით
დაწესებულება ცალსახად ორიენტირებულია განვითარებაზე, ეს მტკიცებულებებით ადგილზ
ვიზიტის დროსაც დადასტურდა და არგუმენტირებული პოზიციითაც, როდესაც დაწესებულება
მიგნებების დროს ჯერ კიდევ გამოვლენილი მოსაზრებების მიმართ მიმღებლობა გამოაცხადა დ
უკვე არგუმენტირებული პოზიციაში მტკიცებულებებით გამყარებული პოზიცია წარმოადგინ
რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა პოზიციები. რაც შეეხება სტუდენტებზე დამოკიდებულ
ბიუჯეტთან დაკავშირებით, რეკომენდაციაში ცალსახად ამაზე საუბარი არ არის. ცალსახაა, რო
დაწესებულება წლიდან წლამდე აგრძელებს განვითარებას და ფინანსური ინვესტიციებ
დამფუძნებლების მხრიდან შედეგების თვალსაზრისით დადასტურებულია. რაც შეეხება შიდ
სტანდარტთან რეგრესს, აქ ნაგულისხმევია ის, რომ 2019 წელს განმტკიცებული იყო სტუდენტთ
კონტინგენტის გათვლის მეთოდოლოგია იქ 1 სტუდენტზე გათვალისწინებული იყო 2 კვ მ, ხოლ
2025 წელს გათვლილია 1,3 კვ მ, შესაბამისად რეგრესში ეს იგულისხმება.

სოფო სუპატაშვილმა აღნიშნა, რომ თუ 2019 წელს საერთო ფართზე სტუდენტზე გათვლილი იყო
კვ.მ, ახლა არის 4 კვ.მ თვითონ 1,3 კვ.მ გულისხმობს იმას, რომ ეს არის სამ ცვლაზ
გადანაწილებული. შესაბამისად ამ ნაწილში პროგრესია და არა რეგრესი. ასევე, უნივერსიტეტ
ყოველთვის ჰქონდა ამოცანად, რომ დამატებითი შემოსავლები გაზრდილიყო. თუ 2022-23 წელ

ამ მიმართულებით შემოსავალი იყო 0, 2023-24 წლებში ეს 8% გაიზარდა და დამფუძნებლი
შემოსავალი 2%-მდე დავიდა, ხოლო 2024-25 წლებში 14%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, არ წყდებ
ეს პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვა
შეკითხვები.

ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ ჰქონდა დაგეგმილ
დაწესებულებას კონკრეტული პროექტები ან რაიმე სხვა აქტივობები, რომელიც ფინანსურ ზრდა
გამოიწვევს.

ანა კობერიძემ განმარტა, რომ დაწესებულება აქტიურად მუშაობს ევროკავშირის მიე
დაფინანსებული სხვადასხვა საერთაშორისო მიმართულებით, მაგალითად ჰორიზონტი ევროპი
ფარგლებში საკონსულტაციო შეხვედრებზე უკვე მოწვეული იყვნენ წარმომადგენლები. ასევ
მოპოვებული აქვს დაწესებულებას მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტი, რომელში
კონსორციუმის სახით არიან შესულები, რაც გულისხმობს კვლევითი საქმიანობისთვის საჭირ
ყველა რესურსის დამატებასა თუ გაძლიერებას.

ირინა აღაპიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ცოტა ხნის წინ გაწევრიანდა გაეროს ქალთ
ორგანიზაციის წევრი, რომელიც შემდგომ აკადემიური მიმართულებით და ორგანიზაციულ
განვითარებით შეუწყობს ხელს. ამავდროულად, თბილისის მერიასთან ერთად გერმანიი
საერთაშორისო განვითარების პროგრამასთან მუშაობს დაწესებულება ურბანული განვითარები
შეთავაზებაზე და ამ პროექტში ალტერბრიჯი იქნება ერთ-ერთი ორგანიზატორი. ბოლ
მიმდინარე მოლაპარაკება არის პოლონურ ორგანიზაციასთან, დეველოპერთან, რომელიც არი
პროფესიული განვითარების ორგანიზაცია, თუმცა იდეურად დაინტერესებულები არია
საქართველოში არაფორმალურის გარდა უკვე ფორმალურში გამოიტანონ მდგრადი განვითარები
მიზნები და ალტერბრიჯიც ამის მონაწილე იქნება. ასევე, უნივერსიტეტი არის ერთადერთ
რომელსაც აქვს აკრედიტებული ტრენინგები.

სერგო ჭელიძემ დაწესებულებას მიმართა კითხვით 6.1.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით
უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს საერთაშორისო კვლევითი პროექტები და პარტნიორებ
განსაკუთრებული აქცენტით მაღალი ინდექსის მქონე პუბლიკაციის ზრდაზე. ასევე, ეკონომიკუ
აგენტებთან უნდა ითანამშრომლოს და კვლევითი შედეგების კომპენსაციის შესაძლებლობი
ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. მას აინტერესებდა თუ აფინანსებდა უნივერსიტეტი ლექტორები
სტატიების დაბეჭდვას ჟურნალებში და თუ არის ბიუჯეტში ცალკე განსაზღვრული რა თანხ
დაეთმობა კვლევით პროექტებს.

ანა წიკლაურმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ყველა აკადემიური პერსონალისთვის აქვ
გამოყოფილი თანხა, რომელიც გულისხმობს სამეცნიერო კვლევითი პროდუქტიულობის ზრდას
ამას უნივერსიტეტი ახორციელებს, როგორც ერთ-ერთ მხარდაჭერის მექანიზმს. გარდა იმისა, რო
არის შიდა საგრანტო პროექტები მუდმივად. ამ საგრანტო პროექტებშიც დინამიკა არის მზარდ
რაც შეეხება ინდივიდუალური პერსონალის დაფინანსებას და მხარდაჭერის მექანიზმებს, ე
გაწერილი აქვს უნივერსიტეტს და მუდმივად აწვდის პერსონალს ამის შესახებ ინფორმაცია
აკადემიურ პერსონალს უფინანსდებათ როგორც სტატიების გამოქვეყნება, ისე საერთაშორის
სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობას. გარდა ამისა ერასმუს +-ის კონსორციუმი არი
უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატება. ამ პროექტის სახელწოდება გულისხმობ
იმას, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში უნდა განვითარდეს კვლევის
და ინოვაციების შესაძლებლობები. როგორც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე აქა
ნამდვილად სჭირდება გაძლიერება და საერთაშორისო გამოცდილების თვალსაზრისი
უნივერსიტეტისთვის ძალიან კარგი შესაძლებლობა იქნება.

სოფო სუპატაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას 10-15% ყოველთვის არი
გამოყოფილი კვლევითი პროექტებისთვის.

მამუკა ხუსკივაძეს აინტერესებდა რომელი პირადი მიზნების განხორციელებაში აპირებს ჩართვა
დაწესებულება.

ირინა აღაპიშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო მეექვსე მიზანი, მდგრადი ინსტიტუციები და ამაზ
მუშაობა უკვე დაწყებულია.
ანა კობერიძემ მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მწვან
მიმართულებით არის ზუსტად ის კონცეფცია, რაც ხორციელდება დეველოპერთან ერთად დ
ეხება ფინანსური რესურსების მართვას. ეს საკითხი გადასულია უკვე პროექტის შემუშავები
ეტაპზე, რაც გულისხმობს იმას, რომ CBHB-ის მსგავსი კონცეფციის შექმნა იგეგმება.

ლევან მიდოდაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მას აინტერესებდა შესაძლოა თ
არა გადაიხედოს რომელიმე რეკომენდაცია იმის ფონზე, რომ დაწესებულებამ მოხსნ
კონტინგენტის გაზრდის მოთხოვნა.
სოკრატის კათსიკასმა აღნიშნა, რომ მეშვიდე რეკომენდაცია ცალსახად დაკავშირებული
სტუდენტების რაოდენობასთან და იმის გათვალისწინებით რომ უნივერსიტეტმა ყარი განაცხად
ქვოტის ზრდის მოთხოვნაზე, შესაძლებელია, რომ გადაიხედოს ცალკეული რეკომენდაციებ
თუმცა მაინც სტუდენტთა რაოდენობის ცვლა მეექვსე სტანდარტთან დიდად არ არი
დაკავშირებული.
რიმა ბერიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რადგან სასწავლ
უნივერსიტეტია ხომ უნდა იყოს გათვალისწინებული.
ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თავიდან იყო სასწავლო უნივერსიტეტი და მთელ
მისი შინაარსით ახლაც რჩება სასწავლო უნივერსიტეტად. უნივერსიტეტში არ არის სადოქტორ
პროგრამები, თუმცა თუ დაწესებულებას არ ეყოლება პრაქტიკოსი აკადემიური პერსონალი და ა
პრაქტიკულ უნარებს თუ არ შეისწავლის სტუდენტი ძალიან რთული იქნება მისი შრომი
ბაზარზე რეალიზება. შესაბამისად, დაწესებულების მიზანია შრომის ბაზრის რესურსზ
მორგებული რესურსის გაზრდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გრანტის ფარგლებში მონაწილეები ქმნია
კურსს, რომელიც საშუალებას აძლევს სამაგისტრო და სადოქტორო კურსების სტუდენტებ
პროფესორ-მასწავლებლებს გამოიმუშაონ და გააძლიერონ მათი აკადემიური პოტენციალი. ე
არის ერთ-ერთი ინდიკატორი, რომ ალტერბრიჯი გამოხატავს მზაობას, რომ თავის
საგანმანათლებლო პოტენციალი დაუკავშიროს კვლევით-სამეცნიერო პოტენციალსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:00
დასრულების დრო: 13:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტერბრიჯ უნივერსიტეტისთვის 6 წლი
ვადით ავტორიზაციის მინიჭების (უნივერსიტეტი) საკითხი, ორ წელში მონიტორინგი
განხორციელების პირობით და სტუდენტთა ადგილების სრული ზღვრული რაოდენობის 400-ი
განსაზღვრის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მ ო მ ხ რ ე :
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-
პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი
56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა დ
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველ
პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის და მე-
პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ალტერბრიჯ უნივერსიტეტს (ს/კ: 405284473) მიენიჭო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით 2 წლი
ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით და სტუდენტთა ადგილების სრულ
ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სტრატეგიულ
  დაგეგმვის პროცესში;
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სტრატეგიული მიზნების გაზომვადობა;
- რეკომენდებულია, განისაზღვროს შუალედური სამიზნე ნიშნულები მრავალწლიანი
  ძირითადი შესრულების ინდიკატორებისთვის;
- რეკომენდებულია, ყველა ადმინისტრაციული ერთეულის და მართვის ორგანოები
  ინფორმირება (მათ შორის სკოლის საბჭოს) მათი სტრუქტურის, ანგარიშვალდებულების დ
  ფუნქციების შესახებ;
- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი აცნობიერებს პროგრესზე დ
  ინტერნაციონალიზაციის დონეზე გავლენის მქონე ფაქტორებს, რეკომენდებულია
  გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია უსდ-ს საქმიანობის ყველა მიმართულებით;
- უნივერსიტეტის ეფექტური მართვისთვის, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღები
  პროცესში პერსონალის წარმომადგენლობით ჩართულობას და დაწესებულების ზრდი
  ტენდენციის გათვალისწინებას, რეკომენდებულია, გადაიხედოს საბჭოს შემადგენლობა დ
  გადაწყვეტილების მიღების წესი, რაოდენობრივი თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის ხარისხი
  კულტურის ჩამოყალიბებას, რომ დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ
  ფუნქციებს შორის ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენდეს საერთო პასუხისმგებლობას;
- ოპერაციების და პროგრამების მზარდი მასშტაბის და მოცულობის გათვალისწინებით
  რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაამატოს სრულ განაკვეთზ
  მომუშავე თანამშრომლები;
- რეკომენდებულია, მართვის ეფექტურობის შეფასება იძლეოდეს საკმარის საფუძველ
  ანალიზისთვის;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება აკადემიურ
  კეთილსინდისიერების პოლიტიკის და მექანიზმების შესახებ;
- თითოეულ პროგრამას თან ჰქონდეს დართული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასები
  გეგმა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, სადაც განსაზღვრული იქნება თითოეულ
  სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული იმ კონკრეტული შესასრულებული დავალები
  მიხედვით, რომელიც უშუალოდ ზომავს მიღწეულ სწავლის შედეგს;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტრატეგიულად გაზარდოს აქტიური კვლევით
  პროფილის მქონე აფილირებული პერსონალის წილი, რათა გაძლიერდეს უნივერსიტეტი
  სამეცნიერო პროდუქტიულობა და კვლევითი პოტენციალი;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაცი
  მოთხოვნებს და სხვადასხვა აკადემიური პოზიციისათვის დააწესოს კვლევით
  პროდუქტიულობის განსხვავებული მოთხოვნები. ასოცირებული პროფესორისა დ
  პროფესორის პოზიციებზე უნდა დაწესდეს უფრო მაღალი სტანდარტები (მაგ., მეტ
  პუბლიკაცია, კვლევის ხარისხის ინდიკატორები, სამეცნიერო გავლენის მაჩვენებლები), რათ
  აკადემიური წინსვლის კრიტერიუმები ასახავდეს როგორც პროფესიულ გამოცდილებას, ის
  კვლევით მიღწევებს, საერთაშორისო აკადემიური სტანდარტების შესაბამისად;
- რეკომენდებულია სტუდენტებისათვის გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები
  შეთავაზება;

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად და თანმიმდევრულად გამოაქვეყნო საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი, კვლევის შედეგების დისემინაციის გასაძლიერებლად დ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პერსონალის ჩართულობა კვლევი საქმიანობაში, რისთვისაც მიზანშეწონილია პერიოდული ვორქშოფების და საინფორმაცი სესიების ორგანიზება ინსტიტუციური კვლევითი პრიორიტეტებისა და ხელმისაწვდომ დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ, რითაც შესაძლებელი იქნება ცნობიერებისა დ ჩართულობის ამაღლება;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განავითაროს საერთაშორისო კვლევითი პროექტები დ პარტნიორობები, განსაკუთრებული აქცენტით მაღალი ინდექსის მქონე ჟურნალებშ პუბლიკაციების ზრდაზე, ასევე ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობასა და კვლევით შედეგების კომერციალიზაციის შესაძლებლობების ხელშეწყობაზე;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობა გლობალურ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის გაფართოებით დ პერსონალისა და სტუდენტების მობილობის სქემების ფორმალიზებით, რა უზრუნველყოფს სისტემურ ჩართულობასა და გაზომვად შედეგებს;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს კვლევითი ინფრასტრუქტურა დ ხილვადობა, საერთაშორისო პროექტების, შედეგებისა და თანამშრომლობების შესახე ინფორმაციის სისტემური დისემინაციით, ინსტიტუციური პლატფორმებისა დ საკომუნიკაციო არხების მეშვეობით;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად გამოაქვეყნოს კვლევის შეფასებები აგრეგირებული შედეგები, რათა გააძლიეროს გამჭვირვალეობა და ხელი შეეწყო მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტს ფორმალურად ჰქონდეს წვდომა შენობის მესამე დ მეოთხე სართულებზე, როგორც ეს განსაზღვრულია იჯარის ხელშეკრულებით, რათ უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმილი რაოდენობისთვის საკმარის სივრცე და შეძლოს საუნივერსიტეტო ცხოვრების სრულყოფილი განხორციელება;
- რეკომენდებული, დაწესებულებამ გაზარდოს სასწავლო აუდიტორიების, საგამოცდ ცენტრების, კომპიუტერების, მერხებისა და სკამების რაოდენობა, რათა სათანადო დააკმაყოფილოს 1 050 სტუდენტის საჭიროებები;
- რეკომენდებულია, ნამდვილი საერთაშორისო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, კამპუსზ დაემატოს ინგლისურენოვანი ციტატები;
- რეკომენდებულია ევაკუაციის გეგმების დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ დ მათი წარმოდგენა ინგლისურ ენაზეც, ქართულ ვერსიასთან ერთად;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ექიმის ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B დონემდე გააუმჯობესოს;
- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკის თანამშრომლები ინგლისური ენის ცოდნის მინიმუმ B1 დონემდე გაუმჯობესებას;
- რეკომენდებულია, რომ „სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში დაწესდეს შიდა სამიზნე ნიშნული ერთ სტუდენტზე კომპიუტერების მინიმალურ რაოდენობის განსაზღვრისათვის;
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო სივრცეების ასევე კომპიუტერების რაოდენობის ზრდა, რათა ისინი საკმარისი იყოს სტუდენტები მოთხოვნილი და ლექტორთა დაგეგმილი რაოდენობისათვის;
- რეკომენდებულია, პერსონალისთვის გამოიყოს დამოუკიდებელი სამუშაო სივრცე და ცალკ დამუშავების ოთახი კატალოგიზაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის;

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, ვებგვერდზე საერთაშორისო სტუდენტების დაშვების ყველა მოთხოვნის ზუსტი ასახვა იმ სფეროში სადაც მოხსენებული ინფორმაცია დაშვების შესახებ,, მათ შორის ინგლისური ენის ტესტის ნიმუში, და ინფორმაცია გასაუბრების შესახებ;
- რეკომენდებულია, ხელმისაწვდომი იყოს ლექტორთა აკადემიური პროფილები;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს თავისი გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობა, შეამციროს დამოკიდებულება როგორც სტუდენტთა რაოდენობის ზრდაზე, ის მფლობელის ფინანსურ მხარდაჭერაზე, და შეიმუშაოს შემოსავლის დივერსიფიცირებული სტრატეგია, რომელიც მოიცავს გარე გრანტებს, კვლევით დაფინანსებას, პარტნიორობას საკონსულტაციო მომსახურებებსა და დონორთა მოზიდვას;
- 2025–2028 წლების სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს ფინანსური რესურსების ზუსტ მოცულობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეალისტური ბიუჯეტირება, შესაძლებელ იყოს საქმიანობების ეფექტიანი პრიორიტეტიზაცია, გაძლიერდეს ფინანსურ ანგარიშვალდებულება და მხარი დაუჭიროს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.
- რეკომენდებულია, აუდიტის დასკვნები და ფინანსური ანგარიშები საჯაროდ განთავსდე უსდ-ის ვებგვერდზე, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული მხარეების წინაშ ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

2. უცხოური საწარმოს ფილიალი "ვებსტერის უნივერსიტეტი ინკ." - ის ფილიალთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭო წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილებ და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთ პოზიცია.
გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ 2024 წელს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა მხოლოდ 1 აბიტურიენტი, რომელიც სწავლას დღემდ განაგრძობს უწყვეტ რეჟიმში. მას ამ პირობებში არ ჰქონია არანაირი დაბრკოლება. უბრალოდ რადგან სტუდენტი პროგრამაზე იყო ერთი მშობელსა და ადვოკატს სურდათ, რომ ის სხვ სტუდენტებთან ერთად ყოფილიყო ამ პროგრამაზე. უნივერსიტეტი მოკლებულია ი შესაძლებლობას, რომ პროგრამაზე სხვა სტუდენტები ჩარიცხოს მომართვიანობის გარეშე, ამიტო სტუდენტს დაწესებულებამ შესთავაზა სხვა პირობებიც, მაგალითად ის, რომ ცენტრალუ კამპუსში, აშშ-ში გაეგრძელებინა სწავლა სწავლის საფასურის უცვლელად, ასევე შეთავაზებულ იყო სხვა კამპუსში სწავლის გაგრძელებაც, ასევე სტუდენტს განემარტა ისიც, რომ სხვ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეეძლო გადასვლა, რაზეც სტუდენტს არ გაუკეთები განაცხადი და აგრძელებს სწავლას აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულებაში. ამასთან, პრეტენზი იყო იმაზეც, რომ სტუდენტმა არ იცოდა წინასწარ მხოლოდ ის რომ იქნებოდა პროგრამაზე, თორე შეცვლიდა უნივერსიტეტს და ამასთან დაკავშირებით განემარტა მას, რომ ეს არც დაწესებულება იცის წინასწარ, აბიტურიენტს შეეძლო ენახა NAEC-ის გვერდზე თუ რამდენს ჰქონდა განაცხადი ა

უნივერსიტეტზე. დაწესებულება სტუდენტთა რაოდენობას მას შემდეგ იგებს, როცა უკვ
განაწილებულია უნივერსიტეტებში რაოდენობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკ
თხვები.**
სეგო ჭელიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა თუ სტუდენტ
შეუფერხებლად აგრძელებს სწავლას, რამ გამოიწვია საჩივარი.
გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ მომჩივანის ადვოკატი იყო შეცდომაში შეყვანილი, მას პრეტენზი
ჰქონდა, რომ რაოდენობა წინასწარ უნდა ცოდნოდა აბიტურიენტს, რათა სხვ
უნივერსიტეტისთვის მიენიჭებინა უპირატესობა, თუმცა ეს ყოველივე განემარტა მას ამასთან
სტუდენტს ჰქონდა მობილობის შესაძლებლობა, რომელიც არ გამოიყენა.
სალომე კუჭუხიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტს ჰქონდა პრეტენზია, რომ 44 კრედიტი აითვის
მხოლოდ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში და ამაზე ჰქონდა აქცენტი.
გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს 4 თერმი (სემესტრი შედგება 2 თერმისგან
ნაცვლად 2 სემესტრისა, რომელიც იწყება 20 აგვისტოს. რადგანაც პირველსემესტრელებ
აგვისტოს ბოლოს ირიცხებიან, პირველ თერმს ვერ ასწრებენ ისინი. ამიტომ პირველ თერმს ისინ
იწყებენ ოქტომბერში და წლის განმავლობაში გადიან სამ თერმს. სწორედ ამიტომ დააგროვა 4
კრედიტი, ნაცვლად 60-ისა. ამის ასანაზღაურებლად უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობ
ზაფხულის სემესტრს და იმ 16 კრედიტის გავლის საშუალება ეძლევა.
თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ პირველი წელი ეთმობა გლობალური მოქალაქეობი
პროგრამას, რომელიც არის უნიკალური შესაძლებლობა და შესაბამისად პირველი წელი არი
გაცნობითი ხასიათის. სწორედ ეს მოდელი იქნა შეთავაზებული ამ სტუდენტისთვისაც, რადგან ე
არის აპრობირებული მეთოდი. 4 წლის განმავლობაში სტუდენტი აუცილებლად ფარავს ი
კურსებს, რაც პროგრამით არის გათვალისწინებული და შესაბამისად ფასდება მისი აკადემიურ
მოსწრებაც.
ნინო ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ სტუდენტის საჩივართან დაკავშრებით სჭირდებოდა გარკვევა.
თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მთელ გუნდა მთელი წლის განმავლობაშ
აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა როგორც სტუდენტის მშობლებთან, ისე ყველა დაინტერესებულ
პირთან, რომელიც ჩართული იყო ამ პროცესში. სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა სხვადასხვ
მოთხოვნა, რომელზეც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. ერთ-ერთ
მოთხოვნა იყო სხვა კამპუსში სწავლის გაგრძელება, თუმცა იმ პირობებით არა, რომელზე
დაწესებულება იყო თანახმა. დამატებითი მოთხოვნა იყო, რომ სრულიად ყოფილიყ
დაფინანსებული გამგზავრების, კვების, კამპუსის ხარჯები სტუდენტისათვის დარჩენილ
სწავლის პერიოდის მანძილზე, რაზეც, სამწუხაროდ, მოკლებული იყო დაწესებულებ
შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:26
დასრულების დრო: 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: უცხოური საწარმოს ფილიალი "ვებსტერი
უნივერსიტეტი ინკ." - ის ფილიალთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირები
დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციი
სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიე
წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, და უმაღლესი საგანმანათლებლ
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებულ
მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერები
საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრი
№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციი
დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 88-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტი
შესაბამისად, შეწყდეს უცხოური საწარმოს ფილიალი "ვებსტერის უნივერსიტეტი ინკ." - ი
ფილიალთან მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებულ
ადმინისტრაციული წარმოება.
მიეცეს რჩევა ორივე მხარეს. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სწავლის სრულად რეალიზებ
შესაბამისად სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ აითვისოს სასწავლო პროგრამი
გათვალისწინებული არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსები. ხოლო სტუდენტმა უნდ
გამოიყენოს მისთვის მინიჭებული მობილობის უფლება, რაც ამ ეტაპზე სრულიად შესაძლებელია

**3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრი
განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭო
წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილებ
და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• არა

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებებ
განსახილველ საკითხთან მიმართებით.**
მომჩივანის ადვოკატმა აღნიშნა, რომ 2022 წელს, როდესაც გამოცდის დროს მოხდა სტუდენტებ
შორის გადალაპარაკება, ამის გამო, ერთ სტუდენტს შეეფარდა გაფრთხილება, ხოლო მეორეს
რომელიც იწერდა, სტატუსის შეწყვეტა. ამის გამო მომჩივანმა მიმართა სასამართლოს, რომელმა
მისი სურვილები სრულად დააკმაყოფილა და მიუთითა დაწესებულებას, რომ მათ
გადაწყვეტილება იყო არათანაზომიერი და დაავალა უნივერსიტეტს, რომ დადგენილ ვადებშ
ემოქმედა. უნივერსიტეტმა ეს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა და მომდევნო საბჭოს სხდომაზ
არათუ განიხილა, არამედ საბჭოს წევრებს ინფორმაციაც არ ჰქონდათ ამის შესახებ. ამის შემდე
დაწესებულება ითხოვდა ბოდიშის მოხდას და კვლავ ედავებოდა ამ საკითხში, რაც კვლა
გაასაჩივრა მომჩივანმა მხარემ და საბოლოოდ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სტუდენტი
მოთხოვნა. მათ მიმართეს უნივერსიტეტს, რომელმაც უარი განაცხადა დიპლომის გაცემაზე დ
რომ არა სახალხო დამცველის მიერ მიღებული რეკომენდაცია , უნივერსიტეტი არცერ
შემთხვევაში არ აპირებდა დიპლომის გაცემას.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ აკადემიური არაკეთილსინდისიერების გარდა სტუდენტს, რა
დასტურდება დოკუმენტურად, ასევე დაუმორჩილებლობა და საგამოცდო ცენტრში არეულობ
ედება ბრალად. აგრარული უნივერსიტეტის ეთიკის მიხედვით აკადემიურ

არაკეთილსინდისიერების დახმარება და ამის მოთხოვნა არის სხვადასხვა საკითხი. ამიტომ ა
ორი სტუდენტის შედარება არის არასწორი. სასამართლო დავა მიმდინარეობდა სამი წლი
მანძილზე და როგორც კი ის დავა დასრულდა უნივერსიტეტმა შეასრულა დაკისრებულ
ვალდებულება. აკადემიური ხარისხი ემყარება იმას, რომ დადასტურდეს ამ ადამიანი
აკადემიური ცოდნა, თუ ეს ხდება გადაწერის ხარჯზე ეს დიპლომები არის ყალბი.
ლილი ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტი გარიცხული იქნა სამი მიზეზის გამო. პირველი, მა
მოუხმო სხვა სტუდენტს და ჩაითრია ამაში, მეორე, გადაიწერა, ანუ შეცვალა თავისი ნაშრომი დ
ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც. სამწუხაროდ, პირველმა სასამართლომ არსებითა
საქმე არ განიხილა. ერთი მხრივ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენა და აღადგინ
სტუდენტი ისე, რომ საქმის განხილვა არ ჩანიშნა და შემდეგ ისე გავიდა სამი წელი, რო
არასდროს არ დაინიშნა პირველი ინსტანციის სხდომა და მან ხელახლა საკითხის შესწავლ
დაავალა დაწესებულებას. ამასთან, სახალხო დამცველმა იმიტომ მისცა უფლება დაწესებულება
გაეცათ დიპლომი, რომ სტუდენტს უკვე შესრულებული ჰქონდა 240 კრედიტი. მეორ
სასამართლოს დროსაც სტუდენტს უკვე შესრულებული ჰქონდა 240 კრედიტი, რაც არი
გადაულახავი საკანონმდებლო ბარიერი ყველა ინსტანციისთვის.
ადვოკატმა აღნიშნა, რომ სასამართლომ ორივე ჯერზე დაადგინა, რომ მას ჰქონდა მხოლოდ
კარნახი და არა პლაგიატი ან რაიმე ეთიკის ნორმის დარღვევა. უბრალოდ უნივერსიტეტს ისე აქვ
ეთიკის ნორმები გაწერილი, რომ ნებისმიერ საკითხზე შეიძლება სტუდენტს მოედავოს ამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთ
პოზიცია.
ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ 4 წლის წინ 2022 წლის 18 იანვარს საგამოცდო ცენტრშ
დაფიქსირდა უნივერსიტეტის კოდექსის დარღვევა, კერძოდ სტუდენტი სარგებლობდ
თანაკურსელის დახმარებით გამოცდის დაწერის დროს, რაც დადასტურებულია ყველ
ფაქტობრივი გარემოებით, მათ შორის საგამოცდო ცენტრში დამონტაჟებული კომპიუტერები
სქრინშოთებით, რომლებიც დაახლოებით 20 წამში აღრიცხავს და აარქივებს სტუდენტი
მოქმედებას. ეს დასტურდება თანაკურსელის მიერაც. ეს დარღვევა შეამჩნია საგამოცდო ცენტრი
თანამშრომელმა და სტუდენტი მოხსნა გამოცდიდან, რასაც არ დაემორჩილა სტუდენტი. საჭირ
გახდა სტუდენტური ოფისიდან თანამშრომლის მოწვევა. ამ საკითხის ეთიკურ საბჭოსთა
განხილვისას გადაწყდა, რომ ას სტუდენტის ქმედება უნივერსიტეტის ეთიკისთვი
შეუთავსებელია და სტუდენტი იქნა გარიცხული. ამის შემდეგ გასაჩივრებულ იქნა აღნიშნულ
საკითხი და სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების სახით დაწესებულებას სტუდენტი
აღდგენა დაავალა და უნივერსიტეტმა კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი მოვალეობ
აღადგინა სტუდენტი და მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა, რომ სრულფასოვნად მიეღ
განათლება და ის მომსახურება, რომელსაც დაწესებულება სთავაზობს სხვა სტუდენტებს
ამავდროულად მიმდინარეობს დავა, წელს სტუდენტმა შეასრულა 240 კრედიტი, რაც ბიზნე
ადმინისტრირების პროგრამისთვის იყო საჭირო, თუმცა შიდა რეგლამენტის მიხედვი
კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საბჭო ვერ იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის მატარებელ
კვალიფიკაციის მინიჭებაზე თუ კი მიმდინარეობს დავა, რომელიც შეიძლება მოიცავდე
აკადემიურ საკითხებს. 21-22 ნოემბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აკადემიურ
საკითხები, რომელიც ბარიერი იქნებოდა კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საბჭოსთვი
კვალიფიკაციის მინიჭებაზე რეკომენდაციის გასაცემად, მოიხსნა. 5 დეკემბერს შეიკრიბ
საკვალიფიკაციო საბჭო, გაიცა შესაბამისი დიპლომი და 8 დეკემბერს ჩაბარდა ეს დიპლომ
სტუდენტს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:57
დასრულების დრო: 14:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთა მიმართებით წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციულ წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციი სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიე წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, და უმაღლესი საგანმანათლებლ დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებულ მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერები საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრი №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციი დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 88-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტი შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან მიმართები წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვი შემდეგ, საბჭო სხდომა დასრულდა 2025 წლის 10 დეკემბრის 14:03 საათზე.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო